პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 208 (13024) | შაბათი, 5 სექტემბერი, 1964 წ | ფასი 2 კაპ.

მოძმე ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 3 სექტემბერი. (საკდესი). საკდესის სპეციალური კორესპონდენტები მ. ნიკიტინი და ა. მასლენიკოვი იტყობინებიან:

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ნოვოტნიმ და მათმა თანმხლებმა პირებმა ინონიცაში იან ზვერმის სახელობის ქარხნების დათვალიერების შემდეგ იმოგზაურეს დედაქალაქის მსხვილ ახალმშენებლობებზე. უველგან, სადაც კი საბჭოთა დელეგაციამ გაიარა, ნახავდით საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხების მეგობრობისა და ძმობის მღელვარე მანიფესტაციებს. ათასობით ადამიანი გულითადად ესალმებოდა საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, ანტონინ ნოვოტნისა და ჩეხოსლოვაკიის პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებს.

დელეგაცია იყო მიხელსკის ახალ საცხოვრებელ კვარტალში, რომელიც აგებულია ინდუსტრიული მშენებლობის თანამედროვე მეთოდებით. ნ. ს. ხრუშჩოვმა, ანტონინ ნოვოტნიმ და სხვა საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელმა ამხანაგებმა დიდი ინტერესით დათვალიერეს ლამაზი სახლები, რომლებსაც ახლახან ჩამოსხმეს ხარაჩოები. ჩეხოსლოვაკიელმა მეგობრებმა უამბეს ნ. ს. ხრუშჩოვს, დელეგაციის წევრებს საბინაო მშენებლობის შესახებ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქში. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე პრაღის მშრომელებმა მიიღეს დაახლოებით 30 ათასი ახალი ბინა. სულ უფრო მეტ გამოყენებას პოულობს საცხოვრებელი სახლებისა და სამრეწველო ობიექტების მშენებლობის უახლესი მეთოდები. თუ 1960 წელს პანელით აშენებულ საცხოვრებელ ნაგებობათა საერთო რიცხვი დამონტაჟებული იყო 32 პროცენტი ბინა, 1962-1963 წლებში მათი პროცენტი 55-მდე გაიზარდა. დიდი წარმატებანი მოიპოვეს მშენებლებმა საბინაო მშენებლობის ვადების შემცირებაში. 1959 წელს 60-ბინიანი სახლი თითქმის 17 თვეს შენდებოდა, 1963 წელს კი 8.5 თვეს. ფართო ახალმშენებლობათა მოთვალიერების შემდეგ საბჭოთა დელეგაცია დაბრუნდა თავის რეზიდენციაში პრაღის კრემლში.

პრაღა, 4 სექტემბერი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით დღეს დილით ბრნოს გაფრინდა, სადაც ეწვევა მეექვსე საერთაშორისო ბაზრობას.

ბრნო, 4 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტები ი. მასლენიკოვი და მ. ნიკიტინი იტყობინებიან:

დღეს ბრნოს ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვთან მივიდა ხურო. მშენებლობის პარტიული ორგანიზაციის თავმჯდომარე იაროსლავ ბელიეკი. მან ხაბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები შინ მიიწვია, საბჭოთა სტუმრები გაეცნენ ბელიეკის ოჯახს, გაიმართა უშუალო გულითადი საუბარი.

დედაქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში დელეგაცია ეწვია ახალმშენებლობათა მეორე რაიონს მალეშიცეში. აქ მშენებლობა ასევე მიმდინარეობს თანამედროვე ინდუსტრიული მეთოდებით — აშენებენ ხუთ და შვიდ სართულიან პანელის სახლებს, 14-სართულიან შენობებს. თითოეულ მათგანში 98 ბინა იქნება. ამჟამად ეს ყველაზე მაღალი შენობებია, რაც კი პრაღაში შენდება.

მშენებლები და ახალმოსახლეები, ყველა, ვისაც კი ბედნიერება ხვდა დღეს აქ ყოფილიყო, მხურვალედ მიესალმნენ საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ ძვირფას სტუმრებს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, ამხ. ნოვოტნისა და მათ თანმხლებ პირებს.

„გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!", „მოხარული ვართ მოგესალმოთ, ძვირფასო სტუმრებო!", „გაუმარჯოს ხრუშჩოვს!", „გაუმარჯოს მშვიდობას!" — ასეთი შეძახილები გაისმის სტუმართმოყვარე პრაღელთა ჯგუფებში, რომლებიც შემოეხვივნენ სტუმრებს.

ნიკიტა სერგის ძემ დელეგაციის ყველა წევრის სახელით მადლობა გადაუხადა მშენებლებს გულთბილი მიღებისათვის, იმისათვის, რომ მათ აჩვენეს თავიანთი შრომის შედეგები, და უსურვა მშენებლებს ახალი წარმატებანი.

სასიხარულო ცნობები სოფლიდან

წლიური გეგმის ზევით

ნაკისრი ვალდებულებით კომეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, — აცნობა „კომუნისტს" რედაქციას მცხეთის საწარმოო სამმართველოს უფროსმა ამხ. დ. მაღალაშვილმა, — სახელმწიფოსათვის კვერცის მიყიდვის 9 თვის გეგმა უნდა შეასრულონ 15 სექტემბრისათვის. ფაქტიურად პირობა ვადაზე თვენახევრით ადრე 106,2 პროცენტით გაანადღდეს.

◊ ზოგიერთმა კოლმეურნეობამ უკვე შეასრულა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის წლიური გეგმა. მაგალითად, სოფელ ქსოვრისის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ს. თედიაშვილი) სახელმწიფოს წლიური გეგმის ზევით მიაყიდა 10,5 ტონა რძე, ხოლო ნიჩბისის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ნ. მიჭვლაშვილი) სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის წლიური დავალება ვადაზე ოთხი თვით და 10 დღით ადრე გადაჭარბებით შეასრულა.

სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის საქმეში კარგად იმუშავა წილკნის საცდელმა სადგურმა (დირექტორი მ. წულუკიძე). აქ წლიური გეგმით სახელმწიფოსათვის უნდა მიეყიდათ 125 ტონა რძე, ფაქტიურად მიაყიდეს 147 ტონა.

მეჯი სილოსისათვის

პირუტყვის საკვები ბაზის განსამტკიცებლად ბეჯითად მუშაობენ გურჯაანის საწარმოო სამმართველოს მეცხოველეები. წინ მიდის კაჯრეთის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა. აქ წელს 600 ტონა თივა და 2.700 ტონა სილოსი უნდა დამზადდეს. ამ დავალების შესასრულებლად კოლმეურნეები ძალასა და ენერგიას არ იშურებენ. უკვე დასასრულს უახლოვდება სილოსის დამზადება.

სოფელ ველისციხის კოლმეურნეობაში გეგმით 480 ტონა სილოსი უნდა დამზადდეს, მაგრამ ამას როდი სჯერდებიან, უკანასკნელ დღეებში მოსულმა წვიმებმა ნაწვერალზე დათესილი სიმინდი სწრაფად გაზარდა და უხვად მიიღებენ სასილოსე მასას, სილოსს სწრაფად ამზადებენ ბაკურციხის, ჩუმლაყის, გურჯაანის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

გურჯაანელები წელს იმისათვის იბრძვიან, რომ დაამზადონ 33.700 ტონა სილოსი. ეს სამუშაო სწრაფად მიმდინარეობს. სილოსის ჩადება წარმატებით მიმდინარეობს სინღნაღის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, ხაშურის, ახალციხის, საჩხერის და სხვა საწარმოო სამმართველოებში.

რუისგოლოელ მეგოსტნეთა გამარჯვება

გოსტნეულიც, ხილიც, რძეც...

რუისგოლო. (სპეც. კორ). მებოსტნეობისა და მერძეველობის ტრესტში ამ ორიოდე წლის წინათ რუისგოლოს მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობა არარენტაბელური იყო. არ სრულდებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები. არცთუ დიდი ხნის წინათ ამ მეურნეობას სათავეში ჩაუდგა გამოცდილი მეურნე და ნიჭიერი ორგანიზატორი **გიორგი დევდარიანი**. მოკლე დროში რუისგოლოს საბჭოთა მეურნეობაში აღორძინება დაიწყო. შარშან ბოსტნეულის წარმოებისა და დამზადების საქმე საგრძნობლად გამოკეთდა.

წელს რუისგოლოელმა მებოსტნეებმა მიზნად დაისახეს, თბილისისა და რუსთავის მშრომელებისათვის უხვად მიეცათ ბოსტნეული, ხილი და სხვა პროდუქტები. მეურნეობაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. მონდომებამ, საქმის სიყვარულმა, აგროწესების ზუსტად დაცვამ, ქიმიური ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებამ სასურველი შედეგი გამოიღო.

პირველი სექტემბრისათვის რუისგოლოელებმა, ტრესტში პირველებმა, გადაჭარბებით შეასრულეს ბოსტნეულისა და ხილის დამზადების წლიური გეგმები. ნაცვლად 4.000 ტონისა სამშობლოს მისცეს 4.177 ტონა ბოსტნეული, ხოლო 4.600 ცენტნერის ნაცვლად — 4.720 ცენტნერი ხილი. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 270 ცენტნერი პამიდორი. სეზონის დასასრულამდე პამიდორის მოსავლიანობა ჰექტარზე 400 ცენტნერს მიაღწევს.

ამ დიდი გამარჯვების გამო შესვენების დროს მუშებმა და სპეციალისტებმა თავი მოიყარეს მეურნეობის მეორე განყოფილების მინდორში, შეკრებილთ მიესალმა და გამარჯვება მიულოცა მეურნეობის დირექტორმა გ. დევდარიანმა.

სიტყვებით გამოვიდნენ მეორე დარგის განყოფილებათა გამგეები **მ. კულამოვი** და **ს. ისაევი**, პირველი განყოფილების აგრონომი **მ. ჩხენკელი**, მეოთხე განყოფილების პარტიული ორგანიზაციის მდივანი **ლ. ბიტუხანი**, მეთერთმეტეკლასელი **ბ. ალიევა**, მებოსტნეობა-მერძეველობის ტრესტის მმართველის მოადგილე და მთავარი აგრონომი **ბ. ლაშხი** და გარდაბნის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე **ი. საფაროვი**. მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ბ. ისმაილოვმა დამსწრეთ გააცნო მეურნეობის დირექციის გადაწყვეტილება იმ მუშების ფასიანი სარეკლამო დაჯილდოების შესახებ, ვინც თავი გამოიჩინა ბოსტნეულის უხვი მოსავლის მიღების საქმეში.

ბოსტნეულის უხვი მოსავალი მიიღეს განყოფილებებმა, რომლებსაც მ. კულამოვი და ს. ისაევი ხელმძღვანელობენ. კულამოვის განყოფილების მებოსტნეებმა გეგმით გათვალისწინებული 15.475 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს მისცეს 18.062 ცენტნერი ბოსტნეული, ხოლო ისაევის განყოფილებისამ — 15.484 ცენტნერი ნაცვლად 12.535 ცენტნერისა. დიდ წარმატებას მიაღწიეს მეორე განყოფილების მესამე და მეოთხე ბრიგადებმა, რომლებსაც ნ. ასლანოღლი და ზ. ისმაილოვი ხელმძღვანელობენ.

აღსანიშნავია მოწინავე მუშების **ნ. ბადალოვას, ი. მანძულაშვილის, ლ. ბაბაევის, ფ. ისკენდეროვის, ვ. იუნანოვას, ზ. მუსტაფაევის, ე. ამირჯანოვის, ი. ბაირამოვას, ა. ალიევას, მალაქ ალი აზის, მინია მურთუზ აზის, ა. მუსაოლლის, ე. ხუნდახიშვილის, ს. ჩომახაშვილის, ნ. როშაევას, ნ. ხიალოვას, ა. ველიევისა** და სხვათა თავდადებული შრომა.

მიტინგზე რუისგოლოელმა მშრომელებმა ერთხმად გადაწყვიტეს წლის ბოლომდე დამატებით მისცეს სამშობლოს 2.000 ტონა ბოსტნეული.

* * *

სურათზე: მეურნეობის მოწინავეები (მარცხნიდან) მუშა ნ. ბადალოვა, ტრაქტორისტი ი. მანძულაშვილი, ბრიგადირი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. ბაბაევი, ბრიგადირი ფ. ისკენდეროვი, მუშა, ლენინის ორდენოსანი ვ. იუნანოვა, მეორე განყოფილების გამგე მ. კულამოვი, ბრიგადირი ლ. ბიტუხანი, მესამე განყოფილების გამგე ს. ისაევი, ბრიგადირი ზ. მუსტაფაევი და მუშა ე. ამირჯანოვა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მეგობროგის მტკიცე კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდება

კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დოქტორმა **ოსვალდო დორტიკოს ტორადომ** ამხანაგებს **ნ. ს. ხრუშჩოვსა** და **ა. ი. მიკოიანს** გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიც მადლობას იხდის მხურვალე მილოცვისათვის 26 ივლისის მეთერთმეტე წლისთავის გამო.

საბჭოთა კავშირის, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების, თავიანთი განთავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხების, აგრეთვე იმ ძალების, რომლებიც ომის წინააღმდეგ გამოდიან, მხარდაჭერით, თანამშრომლობითა და სოლიდარობით კუბას თავისი წვლილი შეაქვს ჩრდილოეთ ამერიკის იმპერიალიზმის განადგურების საქმეში, სოციალიზმისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტი გამოთქვამს რწმენას, რომ კუბისა და სსრ კავშირის ხალხებისა და მთავრობების მეგობრობის მტკიცე კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდება. იგი მადლობას უხდის სსრ კავშირის ხალხსა და მთავრობას იმური თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის, რასაც კუბელ ხალხს უწევენ.

(საკდესი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

თბილისის ს. შაუმიანის სახელობის სომხური სახელმწიფო თეატრის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

თეატრალური ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა:

აკოპიანს ვენერა იოსების ასულს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა:

მამიანს იოსებ ასტურის-ძეს — თეატრის ყოფილ დირექტორს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა:

1. **სიმონიანს** რაჩიკ სიმონის-ძეს — მსახიობს.
2. **უმიკიანს** ჰაიკ აკადის-ძეს — მსახიობ-რეჟისორს.
3. **ყარაჯიანს** არუსია მელიქის ასულს — მსახიობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

ქ. თბილისი.

1964 წლის 2 სექტემბერი.

მისი უდიდებულესობის ირანის შაჰინ შაჰის მოჰამედ რეზა ფეჰლევისა და შაჰის მეუღლის ფარაჰ ფეჰლევის სსრ კავშირში მომავალი ვიზიტის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა მთავრობამ მოიწვიეს მისი უდიდებულესობა ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეჰლევი და მისი უდიდებულესობა შაჰის მეუღლე ფარაჰ ფეჰლევი ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირში. მიწვევა მათ მადლობით მიიღეს.

ვიზიტი მოხდება 1965 წლის ივნისის პირველ ნახევარში.

„ლა სკალას" გასტროლების წინ

მოსკოვი, 3 სექტემბერი. (საკდესის კორ.). დიდი მოვლენა სსრ კავშირისა და იტალიის კულტურულ ცხოვრებაში უწოდა დღეს პრეს-კონფერენციაზე სსრ კავშირის დიდი თეატრის დირექტორმა მ. ჩულაკიმ ორი კოლექტივის — სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრისა და მილანის „ლა სკალას" სოპერო დასების გაცვლით გასტროლებს. იტალიელთა პირველი სპექტაკლი — პუჩინის ოპერა „ტურანდოტი" 5 სექტემბერს იქნება წარმოდგენილი დიდი თეატრის სცენაზე. ოქტომბრის დამლევს მილანის მუსიკის მოყვარულები მოუსმენენ მოსკოველ მომღერლებს. ორივე თეატრი უჩვენებს ხუთ-ხუთ საოპერო სპექტაკლს.

პრეს-კონფერენციაზე მ. ჩულაკიმ და „ლა სკალას" დირექტორმა ა. გირინგელიმ ილაპარაკეს შემოქმედებით თანამეგობრობაზე, რომელიც დიდი ხანია აკავშირებს ამ ორ კოლექტივს. თითოეული მათგანის ისტორია რუსული და იტალიური ხელოვნების განვითარების ისტორიაა.

გასტროლების დროს „ლა სკალა" მოსკოვში უჩვენებს როსინის „სეველელ დალაქს", დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმურს", ვერდის „ტრუბადურს", პუჩინის „ბოჰემას" და „ტურანდოტს", აგრეთვე შესრულებულ იქნება ვერდის რეკვიემი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲨᲘᲜᲐᲣᲚᲘ

ბულგარეთის კულტურის კვირეული მოსკოვში

მოსკოვი. (საკდესის კორ.). საბჭოთა კავშირის ხალხები მომძმე ბულგარეთთან ერთად აღნიშნავენ ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავს. ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით მოსკოვში ეწყობა ბულგარეთის კულტურის კვირეული, დღეასწაულში მონაწილეობის მისაღებად ჩვენს დედაქალაქში ჩამოვიდნენ მეცნიერები, მწერლები, მსახიობები, ბულგარეთის ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენლები.

3-დან 10 სექტემბრამდე მოსკოვში გამართება საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საღამოები, ფილმების ფესტივალი, წიგნების, სახვითი ხელოვნებისა და მომძმე ქვეყნის ოსტატთა ფოტოსამუშაოების გამოფენები.

ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ

„მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდისათვის"

სოციალურ-ეკონომიური ლიტერატურის გამომცემლობამ „მისლმა" გამოსცა წიგნი „მარქსიზმ - ლენინიზმის სიწმინდისათვის".

წიგნში დაბეჭდილია მოხსენებები ლ. თ. ილიჩოვისა „რევოლუციური მეცნიერება და თანამედროვეობა" და ბ. ნ. პონომარიოვისა „კომუნიზმის მშენებლობა სსრ კავშირში საბჭოთა ხალხის დიადი ინტერნაციონალური ამოცანაა, რომლებიც მათ წაიკითხეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის უმაღლესი პარტიული სკოლისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პუმანიტარული ინსტიტუტების გაერთიანებულ მეცნიერულ სესიაზე, რომელიც გაიმართა 1964 წლის ივნისში.

კრებულში შეტანილია პ. ნ. ფედოსეევის, გ. პ. ფრანცოვის, ე. მ. უუკოვის, ვ. ი. სნასტინის, ფ. ვ. კონსტანტინოვის, პ. ნ. პოსპელოვის, ლ. ნ. ტოლკუნოვის, ს. ფ. იუდინის, ლ. მ. გატოვსკის, მ. ბ. მიტინის, ბ. ვ. გიფუროვის, ფ. მ. ბურლაცკის, ბ. ს. რიურიკოვის, ს. ლ. ტიხვინსკის, მ. ტ. იოვჩუკის, ვ. მ. ჩხიკვაძის, ე. ი. ბუგაევის, ვ. მ. ხვოსტოვის სიტყვები ამ სესიაზე.

წიგნში დიდ ფაქტიურ მასალაზე მზილებულია ჩინეთის ხელმძღვანელთა თეორიისა და პრაქტიკის ანტილენინური არსი, გაშუქებულია სკკპ და სხვა მარქსისტულ-ლენინური პარტიების პრინციპული და თანმიმდევრული ბრძოლა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გენერალური ხაზისათვის, რომელიც მოცემულია 1957 წლის დეკლარაციასა და 1960 წლის განცხადებაში, მოთხრობილია სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის გამოცდილების შესახებ.

(საკდესი).

იაპონიის პარლამენტარები მოსკოვს ჩამოვიდნენ

მოსკოვი, 4 სექტემბერი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით საპასუხო ვიზიტად მოსკოვს ჩამოვიდა იაპონის პარლამენტის დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს წარმომადგენელთა პალატის პარლამენტის საქმეთა მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე, იაპონიის liberal-democratic-დემოკრატიული პარტიის თავლსაჩინო მოღვაწე კენი ფუკუნაგა.

ურთიერთობა მტკიცდება

ნაირობი, 4 სექტემბერი. (საკდესი). კენიის ქალაქ მაჩაკოსის მახლობლად მდებარე სოფელ კაგუნდუში გაიმართა საბჭოთა კავშირ-კენიის მეგობრობის მიტინგი, რომელსაც დაესწრო რამდენიმე ათასი კაცი. მიტინგი გაიმართა იმასთან დაკავშირებით, რომ კაგუნდუში ჩავიდა საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის დელეგაცია ა. სოფრონოვის მეთაურობით. მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს შინაგან საქმეთა მინისტრმა ოგინგა ოდინგამ, საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა. სოფრონოვმა, სსრ კავშირის ელჩმა კენიაში ვ. ს. ლავროვმა.

კენიის ერთ-ერთმა თვალსაჩინო პოლიტიკურმა მოღვაწემ პოლ ნგე

კომუნისტი

ჯალგი ჯიგჯარლიდ!

ჯიჯგულ-საჯელმწიფო კონტროლის ჯვალდ №14

ამ გვერდზე წაიკითხეთ:

- კასპის სამრეწველო-საწარმოო ზონის — ხალხო კონტროლიორთა გამოცდილებიდან.
- მშრომელთა საჩივრებს — გულისხმიერება!
- ყოვკვეთოთ უგილეთო მგზავრობა!

საჩივარი მოვიდა რაიაღმასკომში...

ეს არ არის ყურადღება, გულისხმიერება

ხუთასამდე წერილი, განცხადება და საჩივარი მოვიდა მიმდინარე წლის შვიდი თვის მანძილზე მაიაკოვსკის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომში.

ამ საჩივრებისა და წერილების უმრავლესობა გამსჭვალულია ზოგჯერ მუშობაში არსებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების გამოსწორებისათვის, საბჭოთა აღმშენებლობის კეთილდღეობის განხორციელებისათვის.

სოფელ ყუმურიდან მშრომელებმა რაიაღმასკომს მისწერეს, რომ მათს კოლმეურნეობაში უწესრიგობაა, იტაცებენ არტელის ქონებას, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ჯულუყიძე თვითნებობს, აშარა ბოროტებას სჩადის, ამ ბოლო დროს სპეკულაციასაც კი მიმყოფელი.

სიგნალი, რა თქმა უნდა, სერიოზული და ყურადსაღები იყო. რაიაღმასკომმა დროულად განიხილა იგი. საჩივრის შემოწმება მიიაკოვსკის საწარმოო სამმართველოს მიეცა. დოკუმენტურმა რევიზიამ ადგილზე აღმოშფოთებელი დარღვევები გამოაკვლია. კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ საკითხი საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა განიხილა. კომეურნეობის თავმჯდომარე ვ. ჯულუყიძე სკკპ რიგებიდან გაირიცხა, ხოლო მასალები პროკურატურას გადაეცა.

სახალხო სასამართლომ ამ დღეებში განიხილა აღნიშნული საქმე. უყმურის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და მორეტებაში მისმა თანამონაწილეებმა ღირსეული სასჯელი მიიღეს.

ასე გულისხმიერად მოეკიდნენ ქვემოდან მოსული სიგნალს.

11 მაისს აღმასკომმა მაღალმთიან სოფელ საყრაულის კოლმეურნეთა საჩივარი მიიღო. გზის კეთილმოწყობასა და ავტობუსის დანიშვნას მოითხოვდნენ მისი ავტორები. აღმასკომმა ეს განცხადება განიხილა, მშრომელების მოთხოვნა სწრაფად სცნო და ზომების მიღება საგზაო გაფუჭებულებას დაიკისრა. თავის მხრივ საგზაო განყოფილებამ დროულად შეაკეთა მაიაკოვსკი-საყრაულის გზატეხილი. 10 ივნისიდან ამ გზაზე ავტობუსების მიმოსვლა დაიწყო. სოფლის მშრომელთა კანონიერი მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

დაბა მაიაკოვსკის მცხოვრებმა ბ. როგაჭიძემ გულისტკივილით მიმართა აღმასკომს, ვ. ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის ზემოთ, მთის ფერდობებზე ტყეს უმოწყალოდ ანაგებენ და მიხედეთო.

რაიაღმასკომის თავმჯდომარემ შ. ჯოგლიძემ განცხადების შემოწმება საბჭოს დეპუტატთა ჯგუფს მიანდო. ფაქტები დადასტურდა. ტყის მტრები გამოავლინეს და სათანადო ზომები მიიღეს ტყის დასაცავად.

შეიძლებოდა კიდევ და კიდევ მოგვეყვანა მსგავსი მაგალითები.

მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საჩივრებისა და განცხადებების ნაწილს ჯერ კიდევ ფორმალურად განიხილავენ, ოფიციალურ უმეტეგოდ ტოვებენ, ამასთან არსებითს, ამომწურავ პასუხს არ აძლევენ მათს ავტორებს. ზოგი ისეც, რომ აღმასკომის ზოგიერთი შეშაყი თვითნებურად წყვეტს განცხადების ბედს, კანონიერს უკანონოდ მიიჩნევს და პირიქით.

მომდინარე წლის 6 ივნისს დაბა ვანში მცხოვრებმა ბ. სეფიაშვილმა განცხადებით მიმართა რაიაღმასკომს. იგი წერდა, რომ ბოლო დროს ზეინდრის საკოლმეურნეო ბაზარში ერთჯერადი გამოსაღების ამკრეფად და მწონავად მუშაობდა. ახლა აღარ მუშაობს და აღდგენას მოითხოვს.

სეფიაშვილი სამუშაოდან მოხსნეს აშკარა დარღვევებისა და დანაშაულისათვის, მაგრამ „ობილი ადგილის" მოყვარული ძველ თანამდებობას ჩაებღაუჭა. რეაბილიტაციისათვის საჭირო იყო შუამდგომლობა, და იგი სეფიაშვილს დაუყოვნებლივ მისეს.

ჯერ კიდევ ექვსი დღით ადრე, ვიდრე სეფიაშვილი რაიაღმასკომს მიმართავდა, ვანის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. აბრამიძემ ოფითონ მიმართა რაიაღმასკომს ასეთი შუამდგომლობით:

„მშრ. დეპ. ვანის სადაბო საბჭო გთხოვთ აღადგინოთ სამუშაოზე ჩვენი სადაბო საბჭოს მცხოვრები ბესიონ ბენიამინის-ძე სეფიაშვილი".

რატომ უნდა აღადგინონ სეფიაშვილი, რა დამსახურებისათვის? უკანონოდ ხომ არ მოუხსნიათ იგი სამუშაოდან? ან რატომ არ შეუძლია სხვა ადგილზე იმუშაოს?

ამაზე შუამდგომლობა დუმს.

სამაგიეროდ ლაპარაკობენ აქტები, და მოხსენებითი ბარათი, რომელიც რაიაღმასკომის საფინანსო განყოფილების სახელმწიფო შემოსავლების უფროსმა ინსპექტორმა ლ. იობიძემ შეადგინა და წესისამებრ წარადგინა.

მოხსენებით ბარათში გარკვეული წერია, რომ ბ. სეფიაშვილი გასულ წელს ორჯერ — 26 ივლისსა და 27 სექტემბერს შეისწრეს დანაშაულზე.

და რაოდენ უცნაურია, რომ სწორედ ამ მოხსენებით ბარათს რაიაღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგის ლ. რობაქიძის ასეთი რეზოლუცია აქვს: „საქმეში, აღნიშნულ საკითხზე მოვეფიუბრეთ აღმასკომის თავ-რეს და სეფიაშვილმა დაიწყო მუშაობა".

თითქოს კარგია, რომ აღნიშნული განცხადების პასუხს მხოლოდ ორიოდე კვირას მოუნდნენ. მაგრამ მთავარია ვიცოდეთ, რა ჰქონდათ მხედველობაში, რა საფუძველი აყო ბ. სეფიაშვილს „სამოდელეწო ასპარეზის" უცვლელად შენარჩუნებისათვის?

სოფელ ობჩიდან აგიტატორი ლ. ლაღიძე მიმდინარე წლის აპრილში რაიაღმასკომს სწერდა: ერთ თვეზე მეტია მე-6 უბანს დამტარებელი არა ჰყავს. ამ განცხადებაზე ლ. რობაქიძემ წაწერა: „კოლმეურნეობის და სასოფლო საბჭოს თავ-რეები გაფრთხილებული არიან დამტარებლის გამოყოფაზე". ფაქტიურად საქმის არსი ბოლომდე არ შეუსწავლიათ. ობჩის ფოსტაში სწორედ იმის გამო, რომ სხვა უბნებსაც აკლიათ დამტარებლები, ჟურნალ-გაზეთები თვეობით თაროებზე და იატაკზე ყრია.

ხუთ თვეზე მეტია, რაც სოფელ ზეთელხევის მცხოვრებლებმა სერგო და დავით გრძელიძეებმა განცხადებით მიმართეს აღმასკომს. ისინი წერდნენ, რომ საერთო სარგებლობის ეზოში, სადაც რიხი კომლი ცხოვრობს, კოლმეურნეობის ყოფილმა თავმჯდომარემ აკაკი გრძელიძემ მოხსნა საერთო ჭიშკარი, თვითნებურად შემოაკავა ეზოს ნაწილი და ამით სხვებს სამანქანო გზაც გადაუკეტა.

ბ. ბ.

სახალხო კონტროლიორების სამეშაოზე

შორსმჭვდველი თვალი

ხალხის შორსმხედველი თვალია პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ახალი ორგანოები. ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ ეს ახალი ფორმა მეტად მოსერხებული და მახვილია.

კასპის სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი მშრომელთა ფართო აქტივზე დაყრდნობით წარმართავს თავის მუშაობას. საზოგადოებრივ ხაყიანებზე შექმნილია საორგანიზაციო, შრეწველობისა და ტრანსპორტის, განათლებისა და კულტურის, ჯანმრთელობის შტატგარეშე განყოფილებები. სამრეწველო საწარმოებსა და ორგანიზაციებში პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის ხელშემწყობ ჯგუფებსა და საგუშაგოებში გაერთიანებულია ხუთასზე მეტი სახალხო კონტროლიორი.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტმა, მისმა ხელშემწყობმა ჯგუფებმა და საგუშაგოებმა სამრეწველო-საწარმოო ზონის ბევრ საწარმო-დაწესებულებაში შეიხედეს, გამოამზეურეს ნაკლოვანებანი, დაეხმარნენ საწარმოოა დირექციებს, პირველადს პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებს უწესივრობათა აღმოფხვრაში.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს.

რკინიგზის კასპის სადგურში შვიდწყალეთ სახალხო-სამეურნეო ტვირთების გატანისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის მდგომარეობა. მიღებულ ღონისძიებათა შედეგად საგრძნობლად შემცირდა ვაგონების მოცდენა, განთავისუფლდა სადგურის ტერიტორია გაუტანელი ტვირთებისაგან. აღსანიშნავია ისიც, რომ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მუშაობის მაჩვენებლების მიხედვით სადგურის კოლექტივს გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა.

ჩვენი მუდმივი ყურადღების ცენტრშია მშრომელთა საჩივრებსა და სიგნალებზე რეაგირება. ქალაქ კასპში მცხოვრები მოქალაქე ნ. ამირუმოვი და კასპის კომუნალური მეურნეობის კომბინატის თანამშრომელი ე. მერაბიშვილი ამხილებდნენ კასპის კომუნალური მეურნეობის კომბინატის დირექტორის თ. შალუტაშვილის დანაშაულებრივ მოქმედებას. კომიტეტმა შეისწავლა მათ სიგნალში მოყვანილი ფაქტები, რომელთა უმრავლესობა მართლაც დადასტურდა. შემოწმების შედეგებზე ვიმსჯელეთ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის სხდომაზე: კომუნალური მეურნეობის კომბინატის დირექტორი თ. შალუტაშვილი, რომელიც აწარმოებდა მიწერებს, უშვებდა ფინანსურ დარღვევებს, გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან და საქმე გადაეცა პროკურატურას. ასევე სამუშაოდან გადაყენებულ იქნა კომუნალური მეურნეობის კეთილმოწყობის კინტორის უფროსი რ. გოგიჩაშვილი, სასჯელი დაედო ინკასატორ ე. კიტრიაშვილს, რომელიც შეეცადა კომბინატის დირექტორის თ. შალუტაშვილის ოჯახის ელექტროენერგიის ხარჯვის პირად ბარათებში ჩანაწერების გადაკეთებას.

მისაბაძია ქარხანა „კასპელექტროაპარატურის" პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის (თავმჯდომარე ვ. ალიბეგაშვილი) საქმიანობა. ჯგუფი ხშირად ითვალისწინებს ისეთი აქტუალური საკითხების შესწავლას, როგორიც არის: „პროდუქციის თვითღირებულება"; „ხაარეროების სამეურნეო ანგარიში", „რეტაბელობა", „გამოშვებული პროდუქციის ხარისხი," „მატერიალურ ფასეულობათა დაცვა" და სხვ.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობ ჯგუფს კონტროლი აქვს დაწესებული დიდი ქიმიის ობიექტების მშენებლობათა დაკვეთების დროულად შესრულებაზე. ამას დადებითი შედეგი მოაქვს. ქარხანა ყოველთვიურად გადამეტებით ადგენს უგზავნის შემკვეთებს მაგნატურ სადგურებს.

კასპის ცემენტის ქარხნის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფი და მისი ბიურო (თავმჯდომარე ა. არაქელოვი) საწარმოს კოლექტივის ყოველდღიური ცხოვრების კურსში არიან. მუშებთან ახლო კავშირი და ურთიერთობა ეხმარება მათ დროულად მიიღონ ზომები ქარხნის ცალკეული საამქროს ან უბნის მოსალოდნელი ჩავარდნების თავიდან ასაცილებლად. ჯგუფის წევრები სისტემატურად აყენებენ პარტიული ორგანიზაციისა და დირექციის წინაშე საკითხებს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ყოველივე ამის შედეგად კასპის ცემენტის ქარხანა ყოველთვიურად რე წლის მაისში იმსჯელა ჩვენი ზონის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის მიერ ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოებისადმი დახმარების შესახებ და დაგვისახა კონკრეტული ღონისძიებანი. ახლა ამ მითითებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის ვიბრძვით. თუ კასპის ცემენტის ქარხანაში ადრე შექმნილი იყო ერთი საერთო-საქარხნო და ერთიც შიფერის საამქროში პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფი, დანარჩენ საამქროებში კი საგუშაგოები ცვლების მიხედვით, ამჟამად ქარხანაში საამქროების მიხედვით შეიქმენით პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფები. ანალოგიურ დარღვევებს ჰქონდა ადგილი მცხეთის ასანთის ფაბრიკაში. აქ შექმნილი იყო ჯგუფი მხოლოდ შვიდი კაცის შემადგენლობით. ამასთან პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობ ჯგუფებში ვქმნით სექტორებსა და კომისიებს. გაეზრდით კომიტეტის შტატგარეშე განყოფილებათა რაოდენობას და შემადგენლობასაც. კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების წევრები მივამაგრეთ ჯგუფებისა და საგუშაგოების განსაზღვრულ რაოდენობაზე.

შტატგარეშე აქტივის წევლების მიზნით კომიტეტი ამუშავებს სწავლების ერთიან გეგმას. ეს საშუალებას მოგვცემს რეგულარულად მოვაწყოთ აქტივის სწავლება დარგების მიხედვით.

ამ სამი თვის წინათ კასპის სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიული კომიტეტის პლენუმმა განიხილა ზონის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხი.

პლენუმის დადგენილების შესაბამისად პირველადი პარტიული ორგანიზაციები უფრო მეტ ხელმძღვანელობასა და საჭირო პრაქტიკულ დახმარებას უწევენ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობ ჯგუფებსა და საგუშაგოებს.

კასპის სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი ფართო აქტივზე დაყრდნობით უფრო ენერგიულად იბრძოლებს იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

შ. ხორავაშვილი,
კასპის სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.

ჩვენ გვწერენ: ზომები მიღებულია!

„როცა ქიმიას პატივს არ სცემენ"

ამ სათაურით სპეციალურ გვერდში „მასების კონტროლით!" გამოქვეყნდა კორესპონდენცია, რომელიც მხილებული იყო ოჩამჩირის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში მინერალური სასუქების შენახვასა და გამოყენებაში არსებული ხაკლოგანებანი. წერილთან დაკავშირებით ოჩამჩირის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე **გ. ნაფყანია** რედაქციას ატყობინებს:

წერილში „როცა ქიმიას პატივს არ სცემენ" მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. ოჩამჩირის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის ბიურომ იმსჯელა ამ საკითხზე და დასახა ღონისძიებანი მინერალური სასუქების შესანახი სასაწყობო მეურნეობის გასაფართოებლად. პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ ღია პარტიულ კრებაზე განიხილონ საკითხი რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მინერალური სასუქების დაგროვების, შენახვისა და გამოყენების მდგომარეობის შესახებ.

„არხები პატრონს ელიან"

„**კომუნისტის**" სპეციალურ გვერდში „მასების კონტროლით!" გამოქვეყნდა კორესპონდენცია სათაურით „არხები პატრონს ელიან". კორესპონდენციაში აღნიშნული იყო, რომ ბოლნისის საწარმოო სამმართველოს სოფელ ქვეშის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში სარწყავი არხების გაწმენდასა და მოვლას საკმაოდ უყურადღება არ ექცევიდა.

ამასთან დაკავშირებით ბოლნისის საწარმოო სამმართველო რედაქციას ატყობინებს:

შემოწმებით ფაქტები დადასტურდა. გაზეთის სიგნალის შემდეგ კოლმეურნეობამ განახორციელა პრაქტიკული ღონისძიებანი. ამჟამად სოფელ ქვეშის კოლმეურნეობაში სარწყავი ქსელი ნორმალურად მუშაობს.

„კომკავშირული პროექტორი" მთის გულში

რაც უფრო მეტ გამოცდილებას იძენს მემანქანეთა „კომკავშირული პროექტორი", მას ყოველდღიურად ემატება შუქიც. ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის № 6 მაზტის ახალგაზრდობის ფხიზელი თვალი ახლა წარმოუთის თითქმის ყველა უბანს სწვდება.

ამასწინათ „კომკავშირული პროექტორის" რაზმის წევრებმა—საუნენდი და მოსამზადებელი სანგრევების მაღაროელებმა ბ. გერგიაიმ, ვ. ბეზბოროდოვმა, ბ. ციციკამ და სხვებმა — სამთო მექანიზმების უკეთ გამოყენების მიზნით მოაწყეს რეიდი. მათ შემოიარეს ყველა მიწისქვეშა უბანი და გამოავლინეს, თუ სად, რომელ უბანზეა საჭირო ხე-ტყის ნარჩენებისაგან გვირაბების დაუყოვნებლივ გაწმენდა, რომელი სამაგრი ბიგების ხელახლა გამოყენება შეიძლება და ა. შ.

მომხვეტი ტრანსპორტიორების არაერთი გაწყვეტილებული ხაზი, ცუდად გაჭეთილი სამთო მექანიზმი ამუშავდა ამ დღის. მეორე ცვლის ბოლოს საშუნდი სანგრევების მუშებმა 250 ტონით მეტი ქვანახშირი ამოიღეს, ვიდრე წინა დღეებში.

„კომკავშირულმა პროექტორმა", რომელიც სისტემატურად განაგრძობს შეტევას უყაირათობის წინააღმდეგ, დაიწყო ელვაგაზეთის გამოშვება.

გაზეთი ძოგვითხრობს მოწინავეთა წარმატებებზე, აშარახებს დაუდევარ მექანიზატორებს.

„კომკავშირული პროექტორის" ნათელი სხივი, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა ანათებს ტყვარჩელის მეექვსე შახტის მიწასქვეშა ლაბირინთებს, სათანადო დახმარებას უწევს მემანქანეებს ბევრი გამოუყენებელი რეზერვის ამოქმედებაში.

ვ. ჯლარკავა.

სამართლიანი საყვედურები

△ მსხვილფეხა პირუტყვის ათზე მეტი საკოლმეურნეო ფერმა ახალდების სახაფხულო საძოვარზე. აქ მომუშავე ადამიანებს სურთ ნახონ კინოფილმები, მოისმინონ რადიო, წაიკითხონ გაზეთი. მაგრამ, სამწუხაროდ, მათ კულტურულ მომსახურებაზე არავინ ზრუნავს.

ეს მდგომარეობა კარგად იცის ხულო, რაისაბჭოს აღმასკომის კულტურისა და კინოფიკაციის განყოფილებამ. იცის, მაგრამ...

შ. გოგაბაძე,
სოფლიერი.

△ ბბანო ხშირად უმოქმედოდ არის, რის გამო სოფელ მეჯვარისხევის (ბორის რაიონი) მცხოვრნი სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ.

ა. მესხი, შ. ბუეგაჩავა.

△ გრიბოედოვის ქუჩა (ქალაქი სამტრედია) კეთილმოწყობელია, წვიმიან ამინდში იქ გავლა ჭირს.

ო. ნიაურაძე, ს. ბეგეშიძე, შ. ნოზაძე.

△ ქვანახშირის ამოღების ფრონტზე წარმგაგებთან ერთად დღითიდღე იზრდება ტყიბულელ მუშახტეთა კულტურული მოთხოვნილებები. განსაკუთრებით დიდია მეშახტეთა ლტოლვა ტექნიკური ცოდნის დაუფლებისადმი. ამიტომ არის, რომ სათბობსათვის მებრძოლ ადამიანებს განსაკუთრებით სურთ ჰქონდეთ კეთილმოწყობილი ტექნიკური ბიბლიოთეკა.

ფიქრობენ თუ არა ამ საკითხზე ტყიბულქვანახშირის ტრესტსა და ტყიბულშახტმშენის სამმართველოში?

ვ. მინაშვილი,
სამთო ინჟინერი,
ი. არსენიძე,
მეშახტეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

აღგაგეთოთ წუნდებული პროდუქციის გამოშვება! — ამ დევიზით იბრძვიან თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფები და საგუშაგოები.

სურათზე: კონტროლიორთა ერთი ჯგუფი, რომელიც ამოწმებს გამოშვებული ხელოვნური აბრეშუმის ქსოვილს. (მარცხნიდან) პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის ხელმძღვანელი ქ. ოდილავაძე, წევრები: ვ. მამუჩიშვილი, ნ. კენჭუაშვილი, რ. ჩალაძე, შ. ციხარულიძე.

ფოტო **შ. ჩხეტიანისა.**

უგილეთო მგზავრები და დაკარგული მილიონები

საბჭოთა საქართველოში სამგზავრო გადაზიდვების გაუმჯობესების მიზნით მეტად სერიოზული სამუშაოები შესრულდა. რკინიგზის მთელი ქსელი (ბორჯომ-ფოთი, ბორჯომ-ბაკურიანისა და ნაწილობრივ კაბეთის შტოების ჩაუთვლელად) მთლიანად ელექტროფიცირებულია; თითქმის ყოველ მეორე სადგურში აგებულია ახალი, კომფორტულად მოწყობილი ვაგონები, შეიცვალა სამგზავრო გადაზიდვების მოძრავ შემადგენლობათა პარკი, ფართოდ დაინერგა ელექტრომავლები და მთლიანლითონიანი ვაგონები.

მიუხედავად ამისა, ჩვენს რესპუბლიკაში სამგზავრო გადაზიდვების დარგში მაინც სერიოზული ნაკლოვანებები იგრძნობა. ამ ნაკლოვანებათა ერთი ნაწილი, ცხადია, მიეკუთვნება რკინიგზელებს, ხოლო მეორე — რკინიგზის ტრანსპორტის მომხმარებლებს. ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით ამჟამად ამერიკავკასიის რკინიგზისა და ამერიკავკასიის რკინიგზის თბილისისა და სამტრედიის განყოფილებების ხელმძღვანელები სერიოზულ მუშაობას ეწევიან.

ვაგზლებსა და სამგზავრო მატარებლებში მგზავრობის წესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით თბილისის სამგზავრო, ნავლეულის, ხაშურის, გურჯაანის, რუსთავის, სამტრედიის, სოხუმის, ქუთაისისა და ზოგიერთ სხვა სადგურებში რკინიგზის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შემადგენლობებიდან საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა ე. წ. მუდმივმოქმედი ჩაშახლოში ბრიგადები, სახალხო რაზმელები, საზოგადებრივი რევიზორები, რომლებიც წინასწარ დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით დღე-ღამის თითქმის ყველა მონაკვეთში მუშაობენ საწარმოთა უფროსის, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით.

საგარეუბნო მატარებლებში, სადაც ადგილი აქვს მასობრივ უბილეთო მგზავრობას, აზარტულ თამაშსა და ზოგჯერ ხელიგნურ მოქმედებას, წესრიგის დამყარების მიზნით ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების ხელმძღვანელებისა და საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით მეტალურგიული ქარხნის, ამიერკავკასიის მეტალურგიშენის ტრესტისა და ქ. რუსთავის სხვა საწარმოების მუშაკთა შემადგენლობიდან შეიქმნა სახალხორაზმელთა და საზოგადებრივ რევიზორთა მუდმივმოქმედი ბრიგადები, რომლებიც თბილისი-რუსთავის უბანზე მოქმედ საგარეუბნო მატარებლებში აცავენ მგზავრობის წესებსა და საზოგადოებრივ წესრიგს.

თბილისი - გორის უბანზე მოქმედ საგარეუბნო მატარებლებში ენერგიულად მუშაობენ ელმავალსამშენებლო ქარხნის მუშა - მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა რიგებიდან ჩამოყალიბებული სახალხორაზმელთა და საზოგადებრივ რევიზორთა ბრიგადები.

გზის თბილისისა და სამტრედიის განყოფილებების თითქმის ყველა საგარეუბნო მატარებლებში (რომლებიც მოტორვაგონიანი სექციებისაგან შედგება) გამცილებელთა შტატი მთლიანად გაუქმებულ იქნა. ახლა უბილეთოდ მგზავრობის მოყვარულთ ვაგონებში იმედად გამცილებლები არ ხვდებიან და იძულებული არიან შეიძინონ ბილეთები. ამ ღონისძიებით და სარკვიზიო მუშაობის გაძლიერებით საგარეუბნო მატარებლებში შემოსავალი საგრძნობლად გაიზარდა.

ეს და მრავალი სხვა ღონისძიება, რაც ახლა ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისისა და სამტრედიის განყოფილებებში ხორციელდება, მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. საქმე ის არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ ადგილობრივი, პირდაპირი და საგარეუბნო მიმოსვლის მატარებლებში კვლავ ადგილი აქვს უბილეთო მგზავრობას. ორ თვეში მარტო გზის თბილისის განყოფილებაში უეცარი რევიზიის წესით 744 მატარებლის ნაწილობრივი შემოწმებისას აღმოჩენილ იქნა 2.000-ზე მეტი უბილეთო მგზავრი, რომელთა მგზავრობის საერთო ღირებულებამ დაახლოებით 10.000 მანეთზე მეტი შეადგინა.

საზოგადოებრივ რევიზორთა და სახალხორაზმელთა, პარტიული და პროფკავშირული აქტივის ფართო მონაწილეობით სამგზავრო მატარებლებში მოწყობილმა 10-დღიანმა მასობრივმა შემოწმებამ ცხადყო, რომ სამართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ სამგზავრო მატარებლებში დაშვებული უბილეთო მგზავრობა სახელმწიფოს ყოველდღიურად, სულ ცოტა, 10.000 მანეთის ზარალს აყენებს.

საკითხავია, უბილეთო მგზავრობა სამგზავრო მატარებლების ბრიგადირებისა და ვაგონის გამცილებლთა გვერდის ავლით, მათ დაუკითხავად ხომ არ ხდება? ცხადია, არა. უბილეთო მგზავრობა მეტ წილ შემთხვევებში მგზავრისა და გამცილებლის წინასწარ შეთანხმების შედეგია. ფაქტები ამყარად მეტყველებენ, რომ ყოველდღიურად აღნიშნული 10.000 მანეთის დაახლოებით 20-25 პროცენტს თვით მგზავრი ითვისებს (ბილეთის ღირებულებაზე 20-25 პროცენტით ნაკლები თანხის გადახდის შედეგად) და 75-80 პროცენტს — ულირსი გამცილებლები და მათი მფარველები.

მაგალითად, თბილისი-ფოთის სამგზავრო მატარებლის შემოწმებისას № 8 ლაბორატორიულ ვაგონში 14 უბილეთო მგზავრს ტანლად ეძინათ. გამოირკვა, რომ ისინი სპორტსმენები იყვნენ და მათი ხელმძღვანელი კ. ჯორენაძე გამცილებლებს კ. ჯაგიაშვილსა და გ. სადალაშვილს წინასწარ შეუთანხმდა, რომ სპორტსმენებს უბილეთოდ წაიყვანდა, ხოლო ბილეთების ღირებულებას ძმურად გაიყოფდნენ. დამნაშავე მგზავრებმა ჯარიმის სახით 76 მანეთი გადაიხადეს, ხოლო გამცილებლები კ. ჯაგიაშვილი და გ. სადალაშვილი მოიხსნენ სამუშაოდან და მათი საქმე პასუხისგებაში მისაცემად გადაეცა საგამოძიებლო ორგანოებს. თბილისი-სოჩის სამგზავრო მატარებლის მარტო 4 ვაგონში უეცარი შემოწმების დროს 25 უბილეთო მგზავრი აღმოჩნდა. ამისათვის ამ მატარებლის უღირს გამცილებლებს გ. ბერიაშვილს, გ. კობელაშვილს, შ. მანჩხაშვილს, ს. ზუბულოვს, ვ. ყორეოლიანსა და ს. დემეტრაშვილს დაედოთ მკაცრი ადმინისტრატიული სასჯელები, ხოლო მათი ბრიგადირი დ. მოიაშვილი ჩამოყენებულ იქნა დაბალ თანამდებობაზე. უკანასკნელ პერიოდში მარტო გზის თბილისის განყოფილებამ უბილეთო მგზავრების გადაყვანისათვის მკაცრად დასაჯა 20 გამცილებელი და 5 ბრიგადირი.

ამ სამარცხვინო, მეტად უმსგავსო მოქმედების ბუდეთა, ცხადია, დიდად არის დამოკიდებული რკინიგზელებზე. როგორც ჩანს, სამგზავრო გადაზიდვებთან დაკავშირებულ მუშაკთა შორის საჭიროა უფრო გაძლიერდეს პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა; უბილეთო მგზავრობაში ბრალდებულ რკინიგზელთა მიმართ მიღებულ იქნას მკაცრი ზომები; სამგზავრო მატარებლების შემოწმება მოეწყოს უფრო ორგანიზებულად; განუხრელად იქნას დაცული სამგზავრო მატარებლების შემოწმების მოქმედი ინსტრუქციები; ამაღლდეს მაკონტროლებელი დარგის მუშაკთა პასუხისმგებლობა; პერიოდულად ჩატარდეს გამცილებელთა და ბრიგადირთა, სახალხო კონტროლიორთა და მგზავრთა მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა მუშაკთა ატესტაცია-გადახალისება.

გადამწყვეტი ზომები უნდა მივიღოთ ტრანსპორტის ურჩი მომხმარებლების — ურჩი მგზავრების მიმართ. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ უბილეთო მგზავრობის აღკვეთის მიზნით რკინიგზის ტრანსპორტზე ამჟამად მოქმედი დაჯარიმების წესი საკმაო არ არის, მარტო ამ ღონისძიებით ვერ აღმოვფხვრით ამ მავნე, კაპიტალისტურ გადმონაშთს.

ის მგზავრები, რომლებიც უბილეთოდ მგზავრობენ და ტრანსპორტის ქურდ მომხმარებლებად ითვლებიან, ხომ ჩვენი რესპუბლიკის ფაბრიკა-ქარხნებში, დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მუშაობენ, ისინი ხომ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებნი არიან. თუ ასეთ ადამიანებს მკაცრ ბრძოლას გამოუცხადებენ რესპუბლიკის ყველა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები და ეს რკინიგზის საფინანსო განყოფილების სიგნალის შემდეგ გახდება კოლექტივის საერთო კრების ან აქტივის ფართო სასამართლოების მსჯელობის საგანი, ამ მხრივ ამჟამად არსებული მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვლება.

უბილეთო მგზავრობის აღმოფხვრა სახელმწიფო შემოსავალს მრავალი ასეული ათასი მანეთით გაადიდებს და სამგზავრო მატარებლებში მუუდროებასა და სასიამოვნო მგზავრობის პირობებს შექმნის. ამისათვის საჭიროა უბილეთო მგზავრობის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოლონ არა მარტო ტრანსპორტელებმა, არამედ ტრანსპორტის მომხმარებლებმა. ყველა საწარმოსა და დაწესებულების პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მოქალაქემ.

ალ. კუპუსიძე,
„**კომუნისტის**" საკ. კორ.

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების საფინანსო განყოფილების უფროსი, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

საბჭოთა სტუმრები სალანგში

ქაბული, 3 სექტემბერი. საკლესის კორესპონდენტი ა. პეტროვი იტყობინება: დილაადრიან ავტომანქანების კორტეჟი საბჭოთა სტუმრებითურთ გაემართა მეგობრობის მინისგზისაკენ — სალანგის უღელტეხილისაკენ. თანამეგზავრად მოასფალტებული მაგისტრალით ორ საათზე ნაკლებ ხანს მოგზაურობის შემდეგ დელეგაცია ჩავიდა მშენებლობის ადგილზე. მთავრობის დელეგაციის შესახვედრად, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი მეთაურობს, მოვიდნენ გზის მშენებლები. საბჭოთა სტუმრებთან ერთად მოვიდნენ ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაპირ შაჰი, პრემიერ-მინისტრი მუჰამედ იუსუფი, მინისტრები, ავღანეთის თვალსაჩინო საზელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. რამდენიმე წუთის შემდეგ დაიწყო სალანგზე გამავალი გზის გახსნის საზეიმო ცერემონია.

სიტყვა წარმოთქვა საზოგადოებრივ საშუშაოთა მინისტრმა / მუჰამედ აზიმმა, რომელმაც ილაპარაკა იმაზე, თუ რა უდიდესი საშუშაო შეასრულეს საბჭოთა სპეციალისტებმა ავღანელ შენებლებთან ერთად. შემდეგ ტაშის გრიალში სიტყვა მიეცა ამხანაგ ა. ნ. კოსიგინს. საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის მეთაურმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საბჭოთა სპეციალისტები ძმურად უსიარბენდნენ ავღანელ მეგობრებს თავიანთ მდიდარ გამოცდილებას და ცოდნას. „ათასობით ავღანელი ჭაბუკი, რომლებიც მშენებლობაზე მოვიდნენ, დღეს აქედან მიდიან, იცი რომ დაეუფლენ რთულ პროფესიებს", — თქვა ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა.

თავისი სიტყვის დასასრულს ა. ნ. კოსიგინმა წაიკითხა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ი. მიკოიანის წერილი ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაპირ შაჰისადმი. შემდეგ საბჭოთა სტუმრებსა და სალანგის მშენებლებს მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა ავღანეთის მეფემ მუჰამედ ზაპირ შაჰმა.

მან აღნიშნა, თუ რა ფასდაუდებელი დახმარება გაუწია საბჭოთა კავშირმა ავღანელ ხალხს სალანგის თანამედროვე ავტომაგისტრალისა და გვირაბის მშენებლობის გაყვანის საქმეში. აგრეთვე ყველა მშენებელს მიულოცა შესანიშნავი გამარჯვება. საზეიმო ვითარებაში ავღანეთის მეფემ გაჭრა ლენტი. ამ მომენტიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზა გახსნილია საავტომობილო მოძრაობისათვის.

საბჭოთა სტუმრებმა ავღანეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან ერთად გაიარეს სალანგის გვირაბში და გაემართნენ ჰიჯანისაკენ, რომელიც ჩრდილოეთ უღელტეხილის გადაღმა მდებარეობს. აქ საზეიმო ვითარებაში ავღანეთის პრემიერ-მინისტრმა მ. იუსუფმა ავღანეთის ორდენები და მედლები გადასცა საბჭოთა და ავღანელ მშენებლებს, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი.

შემდეგ სიტყვა აიღო ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა, რომელმაც თქვა: „დიდი კმაყოფილებით გაცნობებთ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება ორდენებითა და მედლებით საბჭოთა და ავღანელ მშენებლთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ჯაბალუს-სირაჯ-დოშის მაღალი მთის საავტომობილო გზის მშენებლობაზე".

დიდი სიხარულით მიიღეს ჯილდოები თავიანთი შრომისათვის საბჭოთა და ავღანელმა მშენებლებმა.

საზეიმო სადილის შემდეგ საბჭოთა სტუმრები ქაბულს დაბრუნდნენ.

ომის ვეტერანები ბერლინში

ბერლინში ჩავიდა საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა დელეგაცია საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ა. სავინოვის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ლონინსკიუბანში, რომლებიც მიეძღვნება ფაშისტიზმისა და ომის ინიციატორების საერთაშორისო კონგრესი.

სიმართლის ხმა

უცხოეთის პრესის გამოხმაურება „პრავდის" სარედაქციო სტატიაზე

პრაღა, 3 სექტემბერი. (საკლესი) — ზეგზომა „რუდე პრავომ" დღეს გამოაქვეყნა სრული ტექსტი „პრავდის" სარედაქციო სტატიისა „იაპონელ სოციალისტთა ჯგუფთან მაო ძე-დუნის საუბრის გამო". სხვა გაზეთებმა დაბეჭდეს ამ სტატიის ვრცელი შინაარსი.

ჩინეთის თეორიას შუალედი ზონის შესახებ გაზეთი „პრაცე" უწოდებს თავიდან ბოლომდე ანტიმარქსისტულს. გაზეთი ამხილებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობის პროვოკაციულ ტერიტორიულ პრეტენზიებს. იმით ვისთვისაც ძვირფასია სოციალიზმის ინტერესები, მშვიდობის შენარჩუნებისა და ხალხთა უშიშროების ინტერესები, ბაზგასმით აღნიშნავს „პრაცე", არ შეუძლიათ გადაჭრით არ დაგმონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ექსპანსიონისტური შეხედულებანი.

სტოკჰოლმი, 3 სექტემბერი. (საკლესი). შვედის გაზეთები დღეს პირველ გვერდზე დიდი სათაურებით ბეჭდავენ „პრავდის" სარედაქციო სტატიის ვრცელ შინაარსსა და კომენტარებს მის გამო, სადაც დაგმობილია ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელთა უკანონო პრეტენზიები საბჭოთა კავშირის ტერიტორიასადმი.

გაზეთი „სტოკჰოლმს-ტიდნინგენი" განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს სტატიის იმ ადგილს, სადაც ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობის გეგმები დახასიათებულია როგორც „აშკარად ექსპანსიონისტური პროგრამა შორს გამიზნული პრეტენზიებით".

ბერლინი, 3 სექტემბერი. (საკლესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცენტრალური გაზეთები ბეჭდავენ „პრავდის" სარედაქციო სტატიას „იაპონელ სოციალისტთა ჯგუფთან მაო ძე-დუნის საუბრის გამო". გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მაო ძე-დუნმა გამოამჟღავნა ჩინეთის ხელმძღვანელთა მიზნები და პოზიციები, რომლებზეც დღემდე ხმადაბლა ლაპარაკობდა და რომ მის საქმიანობაში უმთავრესი იყო ანტისაბჭოთა განწყობილების გამწვავება, ყველაზე რეაქციული ძალების ნაციონალისტური გრძნობებით სპეკულაცია.

მაო ძე-დუნის მსჯელობას გაზეთი ახასიათებს როგორც „სასიცოცხლო სივრცის თეორიის ახალ გამოცემას", როგორც „ცივი ომის" გამოვლინებას.

ბოკიო, 3 სექტემბერი. (საკლესი). იაპონიის გაზეთებში „იომიური", „მაინიტი", „ნიხონ კეიძაი სიმბუნი" და სხვა გაზეთები დიდი სათაურებით აქვეყნებენ დღეს გაზეთ „პრავდის" სტატიის დაწვრილებით შინაარსს, რომელშიც გაკრიტიკებულია მაო ძე-დუნის ექსპანსიონისტური განცხადებანი.

ბევრი გაზეთი, კერძოდ, „ნიხონ კეიძაი სიმბუნი", „იომიური" განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ „შუალედი ზონების" ჩინეთის თეორიის კრიტიკას და სტატიის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია: იმის გამო, რომ მოთხოვნას კურილის კუნძულები დაუბრუნდეს იაპონიას არა აქვს კანონიერი და მორალური საფუძვლები, არ ნიშნავს, რომ შეცვლილ პირობებში ადარ იყოს საჭირო იმ გადაწყვეტილებათა ძიება, რომლებიც არ შელახავენ სსრ კავშირის ინტერესებსა და დაკმაყოფილებენ იაპონელი ხალხის მოთხოვნილებებს.

რომი, 3 სექტემბერი. (საკლესი). გაზეთი „უნიტა" დაწვრილებით გადმოსცემს შინაარსს „პრავდის" სარედაქციო სტატიისა, „იაპონელ სოციალისტთა ჯგუფთან მაო ძე-დუნის საუბრის გამო" და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პოლემიკა მიმართულია „ჩინეთის ექსპანსიონიზმის წინააღმდეგ". „ჩინელებთან კონფლიქტი, — აღნიშნავს „უნიტა", — უფრო სერიოზული ხასიათისა გახდა იმასთან შედარებით, რაც იყო უკანასკნელი თვეების განმავლობაში, — თუმცა ეს კონფლიქტი მეტად სერიოზული იყო მას შემდეგაც, რაც პეკინმა მაო ძე-დუნის პირით პრეტენზიები განაცხადა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ბაიკალის ტბის აღმოსავლეთით.

„უნიტა" გამოპყოფს „პრავდის" სარედაქციო სტატიის იმ ადგილს, სადაც მხილებულია „ისტორიული არგუმენტების" უაზრობა, რასაც იმოწმებენ ჩინეთის ხელმძღვანელები, როცა პრეტენზიებს აცხადებენ იმ მიწებზე, რომლებიც ჩინეთს არ ეკუთვნოდა.

ნიუ-იორკი, 3 სექტემბერი. (საკლესი). „ნიუ-იორკ ტაიმსი" და „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნა" თვალსაჩინო ადგილს ბეჭდავენ მოსკოვიდან მიღებულ კორესპონდენციებს, რომლებიც აშუქებენ „პრავდის" სარედაქციო სტატიას „იაპონელ სოციალისტთა ჯგუფთან მაო ძე-დუნის საუბრის გამო". ცნობებში ხაზგასმულია სტატიის ის სიტყვები, რომ პეკინელ ლიდერთა პრეტენზიები საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ნაწილზე და მათი გეგმები მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა გადაკაცონ ჩინეთის პროვინციად, აშკარად ექსპანსიონისტური პროგრამაა.

უაღრესად დაძაბულ გეითარებაში ტარდებოდა ჩილეში რესპუბლიკის პრეზიდენტის წინასაარჩევნო კამპანია. ჩვენ უკვე [illegible] ბოდით, თუ როგორ შეშფოთებას იწვევს ამერიკის მონოპოლისტურ წრეებში სახალხო კანდიდატის სენატორ ალიენდეს შესაძლო გამარჯვება არჩევნებში. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ალიენდეს მომხრეებს სანტიაგოს ქუჩებში.

არჩევნები გაიმართა გუშინ — 4 სექტემბერს.

ჩვენი პლანეტა ამ დღეებში

შეფაკება კამბოჯაში

ვინ უშლის ხელს...

ლაგოსი, 3 სექტემბერი. (საკლესი). ნიგერიის გაზეთმა „დეილი ტელეგრაფმა" გამოაქვეყნა აიო ბანჯოლეს სტატია, რომელშიც ავტორი ეხება რა ჩინეთის კომპარტიისა და მაოფლიო კომუნისტური მოძრაობის ურთიერთობას წერს, რომ „რუს კომუნისტებს ბუნებრივია უნდათ საერთაშორისო თანამიმის მოწვევა, რათა ბოლო მოიღონ ამ კონფლიქტს. მაგრამ ჩინელებს არ უნდათ მოლაპარაკება აწარმოონ კომუნისტურ პარტიათა საერთაშორისო თათბირზე. ჩინეთის ხელმძღვანელები ხელს უშლიან თათბირის მოწვევას, რადგან მათი საშინაო მდგომარეობა საკმაოდ მერყეობა — არის მათი ეკონომიკის სისუსტისა და ხალხის უკმაყოფილების ბევრი მაჩვენებელი".

ყბადაღებული „დიდი ნახტომიდან" წერს ავტორი, არაფერი არ გამოვიდა. ჩინეთს დიდი სიძნელენი აქვს მოსახლეობის კვების პროდუქტებით მომარაგებაში... ამყამად ჩინელები იძულებული არიან უარი თქვან ხორცი რიგ სამრეწველო პროექტებზე და მთელი ყურადღება მიაქციონ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. და აი სწორედ ეს ჩინეთი ცდილობს ეჩვენოს „ეკონომიური განვითარების სწორი კურსი" აფრიკის ქვეყნებს.

დასასრულ ავტორი გამოთქვამს აზრს, რომ იმ მეთოდებით, რასაც ახლა ჩინეთის ხელმძღვანელები იყენებენ, „ისინი ვერ შეიძენენ ბევრ მეგობარს აფრიკის დიდ კონტინენტზე".

საიგონის აგრესია

ნიუ-იორკი, 3 სექტემბერი. (საკლესი). კამბოჯის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წერილი გაუგზავნა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს, რომელშიც აცნობებს, რომ 28 აგვისტოს დაახლოებით დილის 6 საათზე სამხრეთ ვიეტნამის შეიარაღებული ძალების ასი სამხედრო მოსამსახურე შეიჭრა კბჰერის ტერიტორიაზე პრეი ვენგის პროვინციაში და სროლა აუტეხა კამბოჯის შეიარაღებული ძალების ნაწილებს. შეტაკება ერთ საათზე მეტხანს გაგრძელდა. შემდეგ აგრესორებმა უკან დაიხიეს ისე, რომ სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიიდან მათ იცავდნენ სროლით.

ამ თავდასხმის შედეგად დაიკრა ერთი კბჰერელი ჯარისკაცი.

დღეს ეს წერილი გავრცელდა როგორც უშიშროების საბჭოს დოკუმენტი.

ინდოეთის ელჩი ჩინეთში

ბანგკოკი, 3 სექტემბერი. (საკლესი). ინდოეთის ელჩი ჩინეთში ბ. ბ. ბანერჯი ჩამოვიდა ბანგკოკში. ბანერჯი ინდოეთის ელჩად ინიშნა ბანდუნგის კონფერენციის ინიციატორ ინდონეზიაში. ბანერჯი ინდოეთის ელჩად ინიშნა ინდოეთის ელჩად

ახალი სეზონი, ახალი ამოცანები

ფარდის გახსნამდე



გაპირდა თეატრალური ზაფხული — უაღრესად შინაარსიანი, მრავალფეროვანი და საინტერესო. ჩვენი რესპუბლიკის თეატრები ახლა ახალი შემოქმედებითი სეზონისათვის ემზადებიან. დედაქალაქის თეატრალური კოლექტივებიდან მაყურებელთა წინაშე ერთ-ერთი პირველი წარსდგება კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომელიც თავის 1964-65 წლების თეატრალურ სეზონს გახსნის დღეს, 8 სექტემბერს.

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ესაუბრა თეატრის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს რეჟისორ ბ. ლორთქიფანიძეს და სთხოვა გაზეთის მკითხველებისათვის გაეცნო თეატრის შემოქმედებითი გეგმები ახალ სეზონში.

— ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება,—თქვა ბ. ლორთქიფანიძემ,—ვიდრე ახალ გეგმებზე და ამოცანებზე რაიმეს მოგახსენებდეთ, ორიოდე სიტყვით გავიხსენოთ განვლილი თეატრალური ზაფხული.

წელს ჩვენი თეატრის საგასტროლო ტურნე რესპუბლიკის ფარგლებს არ გასცილებია. გასტროლები დავიწყეთ 20 ივნისიდან, როცა ჩვენი თეატრის სცენა მახარაძელ კოლეგებს „დავუთმეთ“. პირველად მახარაძეში ვიყავით. შემდეგ ქ. რამდენიმედღიანი გასტროლებით და ცალკეული გასვლითი სპექტაკლებით მოგვესახურეთ სამტრედიას, ფოთის, ზუგდიდის, წულუკიძის, გორის, კასპის, თელავის, გურჯაანის, საგარეჯოს, დუშეთის, ბოლნისის და რესპუბლიკის სხვა ქალაქების მშრომელებს. რეპერტუარში, ცხადია, შერჩეული გვქონდა ჩვენი საუკეთესო დადგმები.

კოლექტივისათვის დიდად სასიამოვნო იყო, რომ მაყურებლებმა ყველგან დიდი ინტერესი და გულითადობა გამოიჩინეს ჩვენი სპექტაკლებისადმი. ამ შეხვედრებმა და საუბრებმა ჩვენი თეატრის კოლექტივი კიდევ უფრო დააახლოვა მშრომელებთან, რომლებსაც უყვართ და ესმით პროფესიული თეატრალური ხელოვნება.

გასტროლების პერიოდში თეატრის კოლექტივი, რასაკვირველია, ახალი სეზონისათვისაც ემზადებოდა. ემუშაობდნენ სპექტაკლებზე, რომლებსაც მაყურებელი მიმდინარე სეზონში ნახავს...

დღეს სეზონის პირველი სპექტაკლი და პირველი პრემიერაა. როგორც აფიშებით უკვე იცით, წარმოდგენილი იქნება ს. ბეგიაშვილის ორნაწილიანი დრამატული კომედია **„უცნობი“**. მინდა, ვიდრე სალამის თეატრში მობრძანდებოდეთ, გაგაცნოთ ამ ახალი სპექტაკლის შემქმნელები და მონაწილენი. რეჟისორი გახლავთ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. იოსელიანი, მხატვრები დ. ნოდია და თ. სამსონაძე.

სპექტაკლში ნახავთ რესპუბლიკის სახალხო არტისტებს ს. თაყაიშვილს, მ. დავითაშვილს, ა. კვანტალიანს, ა. გომელაურს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს მ. თბილელს, ე. ყიფშიძეს, ი. ტრიპოლსკის, ფ. სონღულაშვილს, მსახიობებს ო. მეღინეფუხუცეს, ზ. იოსელიანს, თ. სხირტლაძეს, ზ. ზალდასტანიშვილს, ს. გრგიჩაიშვილს. მობრძანდით, ნახეთ, ეფიქრობ, სპექტაკლი მოგეწონებთ!..

სეზონის მეორე პრემიერას **„მკვდრის მზეს“** სექტემბრის ბოლო რიცხვებში ნახავთ. პიესის (თავდაპირველად მას „თეგეოს სიმღერა“ ერქვა) ავტორი გ. შატბერაშვილი, რომელმაც იგი თავისივე ამავე სახელწოდების ცნობილი მოთხრობის საფუძველზე შექმნა. სპექტაკლს დგამს რესპუბლიკის სახალხო არტისტი რეჟისორი არჩილ ჩხარტიშვილი.

გთხოვთ, ნებადართეთ, ეს ერთი თვე გეძებთ ოუ წერილობით, თუ ისე გამოკითხვით და ვეძებდ გიპოვეთ. ახლა გორიდან მწერს მ. ჩაზაიაშვილი, ფშავში იქნებიო და ნეტავ მაროლა. ჩვენი რედაქციის მინდობილობით კითხეთ თანამშრომლობას, ეურნალი ეწინდა სალიტერატურო და ხელოვნებისაა. პირველი ნომერი გამოვა 12 მაისს და თქვენი მასალა აუცილებელი საჭიროებაა. ჰონორარს მიიღებთ ლექსის აწყობაში 5 კაპიკს, მოთხრობაზე შეკთანხმდეთ ხელმეველით ლექსს. ამ წერილის მიღებისთანავე თუ გამომეგზავნით, დროზე მოვა.

მარად ერთგული და მოყვარული

ვ. იაშვილი“.

წერილი დათარიღებული არ არის, მაგრამ სოფლტო ბეჭდების მიხედვით ირკვევა, რომ იგი დაწერილია 1913 წლის 30 აპრილს ან 1 მაისს (ქუთაისის ფოსტის ბეჭედს აწერია 1. 5. 13.).

მეორე წერილი დათარიღებულია 1913 წლის 19 მაისით. როგორც წერილიდან ჩანს, ვ. იაშვილს გაეგასაგან პასუხი ვერ მიუღია.

„საყვარელო ვაჟა! გიგზავნით „ოქროს ვერძის“ პირველ ნომერს. ჩვენს წერილზე თქვენ არავითარი პასუხი არ მოგიციათ შეიძლება არც მიგიღიათ წერილი? გამოგიგზავნეთ რაიმე თქვენი დაწერილი. ჰონორარს მიიღებთ ყოველთვის თავის დროზე. თუ როგორმე დაგვგდებთ ვალს და ჩვენს მაგიერ სთხოვთ ბაზარას და თეფოს ჩვენს ეურნალში თანამშრომლობას, დიდი მადლობელი დავრჩებით, ვფლით მასალას.

მარად მოყვარული და ერთგული

ვ. იაშვილი“.

ვ. იაშვილის ეს წერილები საყურადღებო ლიტერატურული ფაქტია.

ვ. კიკნაძე.

„კომუნისტის“ პუბლიკაცია

ვაჟასადმი მინაწერი

ნახევარი საუკუნის წინათ ქუთაისში დამოდიოდა სალიტერატურო ეურნალი „ოქროს ვერძი“. ეურნალში ასახვას პოულობდა ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრება. მის ფურცლებზე იბეჭდებოდა ლექსები, მოთხრობები, ეურნალი ხშირად გამოდიოდა საყურადღებო სტატიებით ხელოვნების საკითხებზეც.

ამ ეურნალში აქტიურად მოღვაწეობდა პაოლო იაშვილი — რედაქციის გამგე. მაშინ პაოლო ოცი წლის ჭაბუკი იყო. ისტორიამ შემოგვინახა საინტერესო ფაქტი, თუ როგორ ცდილობდა ახალგაზრდა პოეტი აემაღლებინა ეურნალის ავტორიტეტი, გაეფართოებინა მისი ინტერესების სფერო, მიეზიდა სახელოვანი მწერლები.

ეს ფაქტი ეხება ილია ჭავჭავაძეს. ეს ფაქტი ეხება ვაჟა-ფშაველას. ეს ფაქტი ეხება ალექსანდრე ყაზბეგს. ეს ფაქტი ეხება ალ. ცაგარელს, ნ. ბარათაშვილს, ალ. ყაზბეგს, ალ. ფეფელაშვილს, ალ. ფეფელაშვილს, ალ. ფეფელაშვილ